ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №74

02.12.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. დავით რურუა - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ (12-032132935-03; 25.11.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **დავით რურუა.**

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

კომისიის სხდომა წარიმართა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიებთან ერთად.

დ.რურუა - მომხსენებელს ვთხოვ წარმოადგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ (12-032132935-03; 25.11.2021).

დ.ჯაიანი - საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“-ს ფარგლებში დაგეგმილია **83 000 000 (ოთხმოცდასამი მილიონი)** ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომლიც მიზნად ისახავს, თბილისისთვის, მიმდინარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმის ფარგლებში, მაღალი ტევადობის (შესახსრული) ავტობუსების შეძენასა და ავტობუსების ახალი დეპოს მშენებლობას.

სესხის ხელშეკრულების პარალელურად, „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“ ითვალისწინებს თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, რომელიც განსაზღვრავს, ხსენებული პროექტის განხორციელებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელ პირობებს.

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული **83 000 000 (ოთხმოცდასამი მილიონი)** ევროს ოდენობის თანხას მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი, ქვესასესხო ხელშეკრულების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით, გაფორმდა 2016 წლის 11 მაისს.

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს. კერძოდ, ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გახადოს ხელმისაწვდომი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რესურსი; შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ პროექტის განხორციელების ხელშეკრულების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულება) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; ამასთანავე თუ კომპანიის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შესასრულებად საჭირო იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან რომელიმე შესაბამისი უწყების ან ორგანოს ნებართვა, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ნებართვის დროული გაცემა, უნდა იზრუნოს სესხების ლიმიტის დაცვაზე, რათა არ გასცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვარს. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც იმოქმედებს ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ან პირობებზე ცვლილების, გაუქმების გასხვისების ან ანულირების სახით.

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება ამოქმედდება და ძალაში იქნება სასესხო ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან, მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად და მოქმედება შეწყდება სასესხო ხელშეკრულების მოქმედის შეწყვეტისას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე -4 , თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ (12-032132935-03; 25.11.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ

დავით რურუა